ცესკოს კონტრაქტორი კომპანიის „სმარტმატიკის“ საერთაშორისო სკანდალები

ქრთამის აღების შემთხვევებიდან დაწყებული ხმების გაყალბებამდე: რა ბრალდებებს უყენებენ ქვეყნები საარჩევნო ტექნოლოგიის დამამზადებელ კომპანიას „SMARTMATIC“?

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოს ისტორიაში პირველი არჩევნები იყო, რომელიც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართა და განსაკუთრებულად საკამათო და მრავალრიცხოვანი დარღვევებით გამოირჩეოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 824 755 ხმა მიიღო, ხოლო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიას 1 119 053 ადამიანმა მისცა ხმა. ეს შეუსაბამობა აჩენს ეჭვებს ამომრჩეველთა სიების სიზუსტის შესახებ და მიუთითებს ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენებაზე.

2023 წელს, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა (ცესკო) და საერთაშორისო კომპანია „სმარტმატიკს“ (Smartmatic International Holding B.V.) შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რის მიხედვითაც, „2023-2024 წლების განმავლობაში, საარჩევნო ელექტრონული აპარატებითა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით საარჩევნო ადმინისტრაციას კომპანია „სმარტმატიკი“ მოემსახურებოდა.“ ტექნოლოგიის შესყიდვის ჯამურმა ღირებულებამ 54 215 254 ლარი შეადგინა.

რას წარმოადგენს საერთაშორისო კომპანია „სმარტმატიკი“?

„სმარტმატიკი“ არის საერთაშორისო საარჩევნო ტექნოლოგიების კომპანია, რომელიც 2000 წელს დაარსდა და ერთ-ერთი პირველი იყო თანამედროვე ელექტრონული ხმის მიცემის სისტემების სფეროში.

კომპანიის დამფუძნებლები, ვენესუელელი ინჟინრები ანტონიო მუგიკა, ალფრედო ხოსე ანგოლა და როჯერ პინატე, ამერიკის შეერთებული შტატებიდან წამოსული იდეით შემოვიდნენ საარჩევნო ტექნოლოგიების გლობალურ ბაზარზე.

კომპანია, რომლის შტაბ-ბინაც ლონდონში მდებარეობს, დღეს მსოფლიოს მასშტაბით მოღვაწეობს, მათ შორის, ფლორიდის შტატში მდებარე ქალაქ ბოკა რეითონში, პანამასა და ვენესუელაში.

კომპანიის პროდუქტების სპექტრი მოიცავს SmartTally-ის ტექნოლოგიას, რომელსაც, უშუალოდ, ხმების ავტომატურად დათვლის ფუნქცია აქვს.

მიუხედავად ამისა, როგორც ტექნოლოგიურ სამყაროში ხშირად ხდება, ბაზარზე დათარიღების კრიტერიუმში პირველობა არ არის წარმატების გარანტია. დროთა განმავლობაში ლიდერის პოზიციის შენარჩუნება გაცილებით რთული აღმოჩნდება ხოლმე. სმარტმატიკის გავრცელებასთან ერთად გაიზარდა მის საქმიანობასთან დაკავშირებული კრიტიკაც - განსაკუთრებით, გამჭვირვალობის, სისტემის უსაფრთხოებისა და პოტენციური მოწყვლადობის თვალსაზრისით.

საერთაშორისო სკანდალები

„სმარტმატიკი“ პრობლემური აღმოჩნდა არაერთ ქვეყანაში, რასაც მოჰყვა საერთაშორისო მასშტაბის სკანდალები. New York Times-ის გამოძიებამ ცხადყო კომპანიასთან დაკავშირებული სერიოზული ხარვეზები. კერძოდ, 2024 წლის აგვისტოში აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა მძიმე ბრალდებები წაუყენა სმარტმატიკის სამ აღმასრულებელს, ფილიპინებში კორუფციული სქემის ორგანიზებისთვის. გამოძიების მიხედვით, კომპანიის ერთ-ერთმა მაღალი რანგის თანამშრომელმა 2016 წლის საარჩევნო კონტრაქტების მოსაპოვებლად ფილიპინელ საარჩევნო მოხელეს 1 მილიონ დოლარზე მეტი ქრთამი გადასცა.

დანაშაულებრივი სქემა რთული და კომპლექსური იყო. როგორც გაირკვა, კომპანიის აღმასრულებლებმა საარჩევნო აპარატებს ხელოვნურად გაზრდილი ფასები დაადეს, რის შედეგადაც შექმნეს ე.წ. „slush fund“. მოცემული ტერმინი ფულის გათეთრების სქემაში კარგად ცნობილ ტენდენციას აღწერს. კერძოდ, იგი აღნიშნავს უკანონოდ ან არაეთიკური გზით მოპოვებული თანხების გარკვეულ შენიღბულ ერთობლიობას, რომელიც შემდგომში თეთრდება. „სმარტმატიკის“ აღმასრულებლებმაც წარმატებით მოახერხეს ამ თანხის ამერიკისა და ევროპის მასშტაბით გათეთრება.

„ბრალის დამტკიცების შესაბამისად, პინიატესა და ვასკესს შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმ ხუთი წლით, საზღვარგარეთ ჩადენილი კორუფციული აქტის შესახებ კანონის რამდენიმე პუნქტის დარღვევისთვის. ბაუტისტას, პინატეს, ვასკესს და მორენოს -თითოეულს ემუქრებათ სასჯელი 20 წლით თავისუფლების აღკვეთის სახით, საერთაშორისო მასშტაბით ფულის გათეთრებისთვის“, - აცხადებს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი.

ეს კომპანიასთან დაკავშირებული ერთადერთი სკანდალი არ არის. 2023 წლის 29 ნოემბერს ფილიპინების საარჩევნო კომისიამ (COMELEC) რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო: სრულიად აუკრძალა „სმარტმატიკს“ საარჩევნო კონტრაქტზე წვდომა და, შესაბამისად, საარჩევნო უბანზე აღნიშნული ტექნოლოგიების განთავსება. ეს მოჰყვა აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მასშტაბურ გამოძიებას, რომელიც კომპანიის სავარაუდო კორუფციულ საქმიანობას სწავლობდა.

გამოძიების მიზანი იყო იმ დარღვევების გამოაშკარავება, რომლებიც დაკავშირებულია COMELEC-ის ყოფილ თავმჯდომარესთან, ანდრეს ბაუტისტასთან. მთავარი ბრალდება ეხებოდა ფილიპინებში 2016 წლის არჩევნების დროს საარჩევნო ტექნიკით მომარაგებაზე კონტრაქტების „მოგებას“, როდესაც ბაუტისტამ „სმარტმატიკისგან“ მიღებული ქრთამის სანაცვლოდ, მათი ხმის მთვლელები და სარეგისტრაციო აპარატები უბნებზე კვლავ განათავსა.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ფილიპინების საარჩევნო კომისიამ საკუთარ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა ბრალდებების განსაკუთრებული სიმძიმე და მათი პირდაპირი საფრთხე მომავალი არჩევნების სანდოობისთვის. შედეგად, „სმარტმატიკის“ ადგილობრივ ფილიალს “Smartmatic Philippines Inc.”-ს, ჩამოერთვა საარჩევნო ტექნოლოგიების სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის უფლება.

აშშ-ის პროკურატურის მტკიცებით, ბაუტისტამ კომპანიისგან ქრთამი მიიღო 199 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტის სანაცვლოდ, რომელიც 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 94 ათასი საარჩევნო აპარატის მიწოდებას ითვალისწინებდა.

ვენესუელის ქეისი: შედეგების მანიპულაცია 2017 წლის არჩევნებში

თავად კომპანია „სმარტმატიკმა“ საჯაროდ დაადასტურა, რომ ვენესუელის 2017 წლის დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნებზე ხმების რაოდენობა ხელოვნურად იყო გაზრდილი, სულ მცირე, ერთი მილიონით.

კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა, ანტონიო მუგიკამ, გაასაჯაროვა, რომ ავტომატური ხმის მიცემის სისტემის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ოფიციალურად გამოცხადებული 8.1 მილიონი ხმისგან. მუგიკას არ დაუკონკრეტებია, ზუსტად რამდენად შეცვალა ამ მანიპულაციამ არჩევნების შედეგები, თუმცა, კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს არჩევნები პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს მორიგი მცდელობა იყო, გვერდი აევლო ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი კონგრესისთვის და გაეძლიერებინა საკუთარი ძალაუფლება.

ამის შემდეგ, 2019 წლის წინასწარ არჩევნებზე არგენტინის მთავრობის გადაწყვეტილებამ, გამოეყენებინა კომპანია Smartmatic-ის პროგრამული ტექნოლოგია SmartTally, მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება გამოიწვია. ხმების წინასწარი დათვლისთვის შექმნილი ეს სისტემა, რომელიც არჩევნების შედეგების სწრაფ დამუშავება-გადაცემას ემსახურებოდა, პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან მკაცრი კრიტიკის საგანი იყო. მათი მთავარი შეშფოთების მიზეზი მონაცემთა გადაცემის პროცესში შესაძლო მანიპულაციების საფრთხე გახლდათ.

განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია ხმების დათვლის პროცესის ტექნიკურმა მხარემ. საარჩევნო ბიულეტენების სკანირებული ვერსიები, სანამ არგენტინის საფოსტო სამსახურს, Correo Argentino-ს გადაეცემოდა, სპეციალური გარე პროგრამით მუშავდებოდა და ერთი ფორმატიდან მეორეში გადადიოდა. სწორედ ამ პროცესში ხედავდნენ დამკვირვებლები მანიპულაციის საფრთხეს. მათი აზრით, ფაილების გადაყვანის დროს შესაძლებელი იყო შედეგების გაყალბება..

სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ქვეყნის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება - პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს მისცა უფლება, თვალი ედევნებინათ მონაცემების გადაცემის მთელი პროცესისთვის.

მთავრობის მტკიცება, რომ SmartTally-ის გამოყენება გამჭვირვალობისთვის სასარგებლო იქნებოდა, ოპოზიციამ, მათ შორის, პარტია „Frente de Todos"-მა, მკაცრად უარყო. ოპოზიციური ძალები ამ სისტემაში არჩევნებში ჩარევის საფრთხეს ხედავდნენ. მათი პოზიცია გასაგებიცაა: არგენტინელებმა დემოკრატიული თავისუფლებები მხოლოდ მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოიპოვეს და ისინი ამას რთულად თუ შეძლებდნენ, რომ არა კრიტიკული მიდგომა სამართლიან არჩევნებთან დაკავშირებული სისტემებისადმი.

მალავის და კენიის ქეისები

მალავის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ, 2025 წლის არჩევნებისთვის კომპანია Smartmatic-თან ეთანამშრომლა, საზოგადოებაში მწვავე დისკუსია გამოიწვია. განსაკუთრებული კრიტიკა მოჰყვა კომპანიის საქმიანობის ისტორიას სხვა ქვეყნებში.

ადამიანის უფლებათა დამცველთა კოალიციამ და პოლიტიკურმა ლიდერებმა მალავის საარჩევნო კომისიას მოუწოდეს, დაესაბუთებინა თავისი არჩევანი. მათ მაგალითად მოიყვანეს კენიის, ფილიპინებისა და უგანდის შემთხვევები, სადაც Smartmatic-ის სისტემებთან დაკავშირებით ტექნიკური პრობლემები შეიქმნა.

ჩამოთვლილთაგან ხაზი გაუსვეს კენიის ქეისს, სადაც კენიის უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ხმების ელექტრონული დათვლა-გადაცემის პროცესის გაუმართავობის გამო, სრულიად გაანულა. ამას გარდა, 2022 წლის არჩევნების დროს Smartmatic-ის სამი თანამშრომელი (სამივე მათგანი ვენესუელას მოქალაქე) უკანონოდ შედიოდნენ კენიის საარჩევნო სერვერებზე საყოველთაო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე. ამ პირებს ჰქონდათ წვდომა დამოუკიდებელი საარჩევნო და საზღვრების კომისიის (IEBC) ბაზებზე და ეჭვმიტანილები იყვნენ მონაცემთა განზრახ შეცვლისა და Smartmatic-ის გადამცემი სისტემის წინასწარ ტექნიკურ მანიპულაციაში.

მალავის საარჩევნო კომისიამ ეს ბრალდება დაგმო და პროცესის გაჭიანურება სცადა იმ, მტკიცებით, რომ შესყიდვის ყველა წესი დაცული იყო, თუმცა დავა ამ საკითხზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ Smartmatic-ის სახელს უკავშირდება მრავალი საერთაშორისო სკანდალი კორუფციის, საარჩევნო მანიპულაციებისა და უკანონო ქმედებების კუთხით, „ქართულმა ოცნებამ" მაინც გადაწყვიტა, რისკების მიუხედავად, სწორედ, ამ კომპანიასთან ეთანამშრომლა. აღნიშნული გარემოება საფუძვლიან ეჭვებს ბადებს, რომ Smartmatic-ის შერჩევა, შესაძლოა, განზრახ ყოფილიყო დაგეგმილი, საარჩევნო პროცესებში მანიპულაციების გასაადვილებლად.